პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 81 (3058) 26 1966 წ. აპრილი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ჭადრაკი · პეტროსიანი — სპასკი · მოსკოვი 1966

## VII პარტია ◆ პეტროსიანი უტევს

მოსკოვი, 25 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს საღამოს ესტრადის თეატრში ორდღიანი დასვენების შემდეგ VII პარტიით განახლდა ბრძოლა პეტროსიან — სპასკის მატჩში.

სპასკიმ (თეთრები) ფსიქოლოგიური გააზრებით გაითამაშა ლაზიერის პაიკთა დებიუტის სწორედ ის სისტემა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონი ხალისით თამაშობს. პეტროსიანმა ფიგურები განავითარა ლაზიერის გამბიტის კლასიკური სქემის მიხედვით, მაგრამ სპასკის როქის შემდეგ პაიკებით მძაფრად შეუტია მეტოქის მეფეს. თავდასხმის მოსაგერიებლად და ცენტრის შესანარჩუნებლად სპასკიმ პაიკი შესწირა. შემდგომში მსოფლიო ჩემპიონის გრძელი როქის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა და ორივე მეტოქეს იერიშის განვითარების საშუალება მიეცა.

სპასკიმ ადრე დაიწყო შეტევა ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ პეტროსიანმა პაიკების მოძრაობით ჩაკეტა თამაში და შემდგომ თვით შეუტია. ხარისხის შეწირვით მან განსაცდელში ჩააგდო მეტოქის მეფე.

სპასკი ყრუ დაცვაზე გადავიდა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხა პეტროსიანის პაიკებით შემოსევას. მსოფლიო ჩემპიონმა ერთ-ერთი პაიკის შეწირვით გახსნა ხაზები და მიწვდა მეტოქის მეფეს.

პარტია გადაიდო. შეწყვეტილ პოზიციაში პეტროსიანის მოგება ეჭვს არ იწვევს.

### სპასკი — პეტროსიანი

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. კg5 d5 4. მbd2 კe7 5. e3 მbd7 6. კd3 c5 7. c3 b6 8. 0—0 კb7 9. მe5 მ:e5 10. de მd7 11. კf4 ლc7 12. მf3 h6 13. b4 g5 14. კg3 h5 15. h4 gh 16. კf4 0—0—0 17. a4 c4 18. კe2 a6 19. მფh1 ეdg8 20. ეg1 ეg4 21. ლd2 ეhg8 22. a5 b5 23. ეad1 კf8 24. მh2 მ:e5 25. მ:g4 hg 26. e4 კd6 27. ლe3 მd7 28. კ:d6 ლ:d6 29. ეd4 e5 30. ეd2 f5 31. ed f4 32. ლe4 მf6 33. ლf5+ მფb8 34. f3 კc8 35. ლb1 g3 36. ეe1 h3 37. კf1 ეh8 38. hg კ:h3 39. მფg1 კ:f1 40. მფ:f1 e4 41. ლd1. პარტია გადაიდო. პეტროსიანმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

## უკანასკნელი საათი...

◆ **სანტ-იაგო,** 25 აპრილი. ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა ახალ წარმატებას მიაღწია: ვალპარაისოში მოუგო ესპანეთის ეროვნულ გუნდს — 87:50 (42:26). განსაკუთრებით კარგად ითამაშეს საკანდელიძემ, პაულაუსკასმა და სელიხოვმა. შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს ბულგარელებმა, რომლებმაც დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები — 84:81. საბჭოთა ნაკრებს შემდეგი თამაში მასპინძლებთან ჰქონდა. და აი, პირველად „შეებრძნენ" ერთმანეთს ძველი თანამებრძოლები და მეგობრები — ორი საბჭოთა მწვრთნელი ა. გომელსკი და ს. სპანდარიანი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებს ჩილის ეროვნულ გუნდს. გაიმარჯვეს „გომელსკის ბიჭებმა" — 69:59. ბულგარელებმა წააგეს იუგოსლავიელებთან — 69:85. სსრ კავშირის ნაკრებს 3 მატჩი დარჩა: ბრაზილიელებთან (26 აპრილს), ბულგარელებთან (29 აპრილს) და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებთან (30 აპრილს).

◆ *მეხიკო,* 25 აპრილი. აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მექსიკისა და პარაგვაის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 7:0.

◆ **რიგა** 25 აპრილი. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა გუშინ დაამარცხა მოსკოვის „დინამო" (3:1) და ზედიზედ მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

◆ ნეაპოლი, 25 აპრილი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში საათნახევარს გაგრძელდა ს. ლიხაჩოვისა და იტალიელ ნ. პიეტრანჯელის ნახევარფინალური ბრძოლა. გაიმარჯვა იტალიელმა — 3:6, 6:3, 6:0, 6:3. ნახევარფინალური შეხვედრა წააგო საბჭოთა წყვილმა ლეიუს—ლიხაჩოვმა (მათ მოუგეს ავსტრალიელებმა დევიდსონმა და ბოურეიმ — 6:4, 3:6, 7:5). შერეული წყვილების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ა. მეტრეველი — პეელი (შვეცია) და ა. ივანოვი — ბელტრამე (იტალია). გაიმარჯვა ქართულ-შვეციურმა „დუეტმა" (4:6, 7:5, 11:9), რომელიც ფინალში გავიდა.

◆ **ივანო-ფრანკოვსკი,** 25 აპრილი. ერთბაშად 3 საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა იუნიორ ძალოსნებში ფრუნზელი, 20 წლის ვ. ლეონტიევი (მძიმე წონა). საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში მან აჰიმა 157,5 კგ, აკრა 175,5 და სამჭიდში დააგროვა 457,5 კგ.

## მოტოციკლმა უმტყუნა

მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის III ეტაპი 250 კბ სმ-ის კლასის მანქანებისთვის, რომელიც გუშინწინ ბელგიაში გაიმართა, მოიგო შვეციელმა ტ. ჰალმანმა. I ეტაპზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მოსკოველი ვ. არბეკოვი, ისევე, როგორც ამას წინათ საფრანგეთში, ამჯერადაც მანქანის დაზიანების გამო გამოეთიშა რბოლას. უხეიროდ გამოვიდნენ სხვა საბჭოთა სპორტსმენებიც. გ. დრაუგსმა, მაგალითად, მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა.

ამავე დღეს ავსტრიაში გაიმართა 500 კბ სმ-ის კლასის მანქანებით რბოლა. ეს იყო მსოფლიო პირველობის II ეტაპი და იგი კვლავ გდრ-ის მოტოციკლისტის პ. ფრიდრიხსის გამარჯვებით აღინიშნა. ი. გრიგორიევი VI იყო, ვ. პოგრებნიაკი — IX, ზ. კალკისი — X და ი. მატვეევი — XV.

## „მუშკეტერების" საშუალედო ფინიში

**ხარკოვი,** 24 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 4 დღის განმავლობაში ასპარეზობდნენ აქ გამართულ შესარჩევ ტურნირში საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოფარიკავეები, რომლებიც ინტენსიურად ემზადებიან ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, რაპირისტ ვაჟთა შორის პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: 1. გ. სვეშნიკოვი (გორკი), 2. ი. შაროვი (სარატოვი), 3. ვ. პუტიატინი (კიევი). ქალთა შორის საუკეთესო იყო მოსკოველი ვ. რასტვოროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გამარჯვებულის თანაქალაქელები გ. გოროხოვა და ა. ზაბელინა.

უაღრესად მწვავე ბრძოლა გაიმართა დაშნით მოფარიკავეთა შორის. ყველას აჯობა ორჯონიკიძელმა ვ. გოჯიევმა. მას მიყვნენ: ოლიმპიური ჩემპიონი გ. კრისი და ი. ვიტებსკი (ორივენი — კიევი).

ესპადრონისტთა შორის არ ჩანდა ჩვენი 5 საუკეთესო „მუშკეტერი". ისინი საფრანგეთში იმყოფებიან საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. მათ არყოფნაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა ე. ვინოკუროვმა.

— ხარკოვის ტურნირმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ძლიერი მოფარიკავეების ურიგო რეზერვი როდი გვაქვს, — განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ლ. საიჩუკმა. — მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატამდე სულ ორთვენახევარი დარჩა და ჩვენმა სპორტსმენებმა დაუღალავად უნდა ივარჯიშონ, რათა ღირსეულად დაიცვან საბჭოთა სპორტის სახელი. სწორედ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მომზადებას ემსახურება მათი მონაწილეობა სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა ტურნირში, რომელიც მაისის ბოლოს გაიმართება პოლონეთში.





**ბორჯომი — ბაკურიანის რკინიგზის ელექტროფიცირების სამუშაოების დაჩქარებას საგრძნობლად აფერხებდა ბოძების დასაყენებელი სპეციალური ამწეების უქონლობა. ეს ხელშემშლელი მიზეზი აღმოიფხვრა მას შემდეგ, რაც „ზაკტრანსსტროის" მთავარმა ინჟინერმა ჯ. სიხარულიძემ, მთავარმა მექანიკოსმა გ. გოზალიშვილმა და სარემონტო გამქირავებელი კანტორის უფროსმა ა. გლურჯიძემ საერთო ძალით შექმნეს ვიწროლიანდაგიანი ამწე. ახალი ტექნიკის გამოყენებამ საქმე საგრძნობლად დააწინაურა. სამუშაოები ბორჯომ — ბაკურიანის ხაზზე დასასრულს უახლოვდება.**

• • •

სურათებზე: ბოძების გადმოტვირთვისა (ზევით) და მათი დაყენების მომენტები.

ფოტო დ. სალარეიშვილისა.

### ფეხბურთი · I ჯგუფი

დუბლიორთა შეხვედრა

## რეალიზებული უპირატესობა

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 25 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:0 (1:0).

„დინამო": ნარსია, გეგეჭკორი, სახვაძე, შერგელაშვილი, ქოხონელიძე, მეიშვილი, სირბილაძე, ბოჭორიძე, მიქაშავიძე, მაზიაშვილი, სიხარულიძე.

„ტორპედო": ჩლაიძე, მუშკუდიანი, ჩხაიძე, წვერავა, მუკბანიანი, ქოლაძე, ნაჭყებია (ერქომაიშვილი), საკანდელიძე, ბლინკოვი, კოხრეიძე, ლ. ნოდია.

მსაჯი ა. მელკინი (მოსკოვის ოლქი).

თბილისისა და ქუთაისის ოსტატთა გუნდების დუბლშემადგენლობათა გუშინდელ შეხვედრაში „დებიუტმა" ბევრი რამ გადაწყვიტა. მიმდინარეობდა მე-5 წუთი, როცა ბოჭორიძე ტორპედოელთა კარის სიახლოვეს გავიდა და ძლიერად დაარტყა. ჩლაიძემ ვერ შეძლო ბურთის შეჩერება და ანგარიში გაიხსნა — 1:0.

ამ გოლმა გარკვეული დამაჯერებლობა შეიტანა დინამოელთა თამაშში. ტაიმი მათი უპირატესობით მიმდინარეობდა და სტუმრებს მხოლოდ რამდენიმეჯერ მიეცათ მეტოქის კარში შორიდან დარტყმის საშუალება.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. თბილისელები უმთავრესად ფლობდნენ უპირატესობას, რაც დამთავრდა კიდევ 2 გოლით „ტორპედოს" კარში. ჯერ მაზიაშვილმა ზუსტად დაამიზნებინა თავისი რეიდი, მერე კი მიქაშავიძემ კიდევ ერთხელ აიძულა „ტორპედო" ცენტრიდან დაეწყო თამაში.

ლ. კეთილაძე.

## ჩემპიონმა შეინარჩუნა ლიდერობა

**წყალბურთი**

ხარკოვი, 25 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ დამთავრდა I-XII ადგილებისთვის მებრძოლ წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის I წრე. სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და 20 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშებას. 3 ქულით ნაკლები აქვთ მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენებს. 16 ქულა დააგროვა მოსკოვის „ტორპედომ", 14 — ლვოვის „დინამომ", ხოლო თბილისის „დინამომ" — 12.

ჩვენი დედაქალაქის წყალბურთელებმა ბოლო ორ მატჩში მხოლოდ 2 ქულა დააგროვეს. გუშინ მათ დიდი აღმავლობით ითამაშეს მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან, ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, და გაიმარჯვეს — 5:3.

დღეს ჩვენებს ბოლო მატჩი ჰქონდათ: ისინი შეხვდნენ მოსკოველ თანაკლუბელებს და დამარცხდნენ — 1:2. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში თბილისელებმა გახსნეს (სანაძე), მოსკოველებმა შეძლეს არა მარტო წონასწორობის აღდგენა, არამედ დაწინაურდნენ კიდეც. ქართველ წყალბურთელებს ჰქონდათ მარცხისგან თავის დაღწევის საშუალება, მაგრამ ისე, როგორც ლენინგრადის „ბალტიკასთან" შეხვედრაში, მიმინოშვილმა ამჯერადაც ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო.

გუშინდელი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ტორპედო" (მოსკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 4:3, „დინამო" (ლვოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 6:0, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 4:1, „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) — „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) 4:3, „დინამო" (კიევი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 0:0.

ზ. ჯაფარიძე.

## II ჯგუფი I ქვეჯგუფი · ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—1 | 5 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—0 | 5 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5—2 | 4 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „დინამო" (ბათუმი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „თერგი" (გროზნო) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—4 | 3 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 3 | 0 | 2 | 1 | 3—4 | 2 |
| „დაუგავა" (რიგა) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—3 | 2 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—4 | 2 |
| „დინამო" (ტალინი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—3 | 1 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—5 | 1 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 2 | 0 | 0 | 2 | 1—5 | 0 |

# გამარჯვებულთა ბანაკში

1966 სტუდენტთა სპორტული თამაშების წელი

ქართველი სპორტსმენების ტრიუმფით აღინიშნა სტუდენტთა IV საკავშირო თამაშები, რომელიც 1964 წელს ბალტიისპირეთში გაიმართა. ჰუმანიტარული და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივთა შორის ბადალი არ ჰყავდათ თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარგზავნილთ. უნივერსიტეტელებმა გამარჯვება იზეიმეს, ხოლო მომავალმა ინჟინრებმა — II ადგილი.

წლეულს ივლისში გაიმართება სტუდენტთა V საკავშირო სპორტული თამაშები. გამარჯვებულთა ბანაკი — უნივერსიტეტი, დიდი ხანია შეუდგა ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მზადებას. სწორედ ძალთა ერთგვარ დათვალიერებას წარმოადგენს ამ სასწავლებლის II სპორტული თამაშები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

ჩვენი უნივერსიტეტელი კორესპონდენტი გ. შეყილაძე მოგვითხრობს ამ სასწავლებლის სპორტული კოლექტივის ცხოვრებასა და სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშებისთვის სამზადისზე.



თბილისის უნივერსიტეტში სპორტული თამაშები ტრადიციული პოპულარობით სარგებლობს. სწორედ ამიტომ, მისი საზეიმო გახსნა სტუდენტთა მრავალათასიანმა კოლექტივმა სადღესასწაულოდ აღნიშნა. თამაშები ფაკულტეტთა სპორტული მიღწევების ძალისა და მზადყოფნის დათვალიერებას წარმოადგენს... ფიზკულტურელთა კოლონებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ.

სურათზე: სპორტული თამაშების საზეიმო გახსნა. ტრიბუნაზე არიან უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.



ეკლიერესებთან გამარჯვება ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ამიტომაც სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი მოჭიდავეები. მაგრამ მათ მეორე, არანაკლებ საპასუხისმგებლო გამოცდაც ელით — ზაფხულის სესიები. ლექციებისა და ვარჯიშის შემდეგ მათი მუდმივი მეგზურია წიგნი.

განუყრელი მეგობრები, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები, სპორტის ოსტატები ა. ზურაბაული (მარცხნივ) და გ. გზირიშვილი მომავალ სასემინარო თემას „სუფთა ჰაერზე" ამუშავებენ.



## ზოგი რამ ისტორიიდან

ქართველი მოჭიდავეების სანახავად ტალინის „სპორტჰალეში" ასობით გულშემატკივარი მოდიოდა. ისინი, რა თქმა უნდა, მღელვარებით განიცდიდნენ ასპარეზობის პერიპეტიებს.

მართლაც, ვის არ აღელვებს ასეთი მომენტი? ეს-ეს არის, თავისუფალი სტილის მოჭიდავემ, უნივერსიტეტელმა მ. საკანდელიძემ (ქვემოთ) ილეთი ჩაუტარა მეტოქეს. რამდენიმე წამის შემდეგ მსაჯი გამარჯვების ნიშნად მას ხელს აუწევს.



უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დროებით მიწყდა ჩაიკოვსკისა და გლინკას, შტრაუსისა და ფალიაშვილის დიდებული მუსიკის მელოდიები.

სინატიფისა და გრაციის ოსტატები, რომლებიც მუსიკას უსადაგებდნენ შესაფერის გამომსახველობას, ამჟამად ვოლგოგრადში იმყოფებიან და საკავშირო პირველობაზე რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავენ. ისინი მზად შეხვდნენ ამ დიდ გამოცდას.

ფოტოზე აღბეჭდილია ეკონომიური ფაკულტეტის პირველკურსელი, ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ე. როყვა. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ნიჭიერი სპორტსმენი და მისი მეგობრები არც სტუდენტთა მომავალ თამაშებში შეირცხვენენ თავს.

ასე დაძაბულად მიმდინარეობდა საუნივერსიტეტო თამაშებში კალათბურთელთა ასპარეზობა. იგი აღსავსე იყო საინტერესო და ამაღელვებელი მომენტებით. შეჯიბრებებში თავი ახალბედებმაც ისახელეს.

უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები სწორედ ამ ნიჭიერი კალათბურთელებით შეივსება.





## ზოგი რამ ისტორიიდან

1964 წელს, სტუდენტთა IV საკავშირო თამაშებში მძლეოსნები ტარტუში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამინდის ჭირვეულობა ყველაზე მეტად მძლეოსან თ. მდივანს დაეტყო: მწვრთნელებმა და ექიმმა სახტომი სექტორის ნაცვლად მას თბილი ლოგინი „გამოუწერეს".

თემურმა იცოდა, რომ მშობლიური უნივერსიტეტის საერთო გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მძლეოსანთა მიერ დაკავებულ ადგილს. ამიტომაც სიცხიანი ჭაბუკი „ცეცხლის ხაზზე" გამოცხადდა. ამ ათლეტის თავდადებაზე ჩვენ თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველს, ახლა კი გთავაზობთ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილია თ. მდივანი შეჯიბრების წინ.



ლ. მათიაშვილი, ლ. ჯინჭარაძე და ნ. ვარდანაშვილი სკოლის მერხს უსხდნენ, როცა უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეები სტუდენტთა IV საკავშირო სპორტულ თამაშებში იცავდნენ სასწავლებლის ღირსებას.

ახლა მათ უფროსი მეგობრებისგან ესტაფეტა მიიღეს და V საკავშირო შეჯიბრება ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა პირველი სერიოზული გამოცდა იქნება.

ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანი გამარჯვებულთა შორისაც ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მისწრაფებით ვარჯიშობენ ისინი მწვრთნელის ა. ფხაკაძის მეთვალყურეობით.

სურათზე: (მარცხნიდან) ქიმიის ფაკულტეტის მეორეკურსელი ლ. მათიაშვილი, ეკონომიური ფაკულტეტის პირველკურსელი ნ. ვარდანაშვილი და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი ლ. ჯინჭარაძე ვარჯიშის შემდეგ ესაუბრებიან ა. ფხაკაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1,5:0,5

## მატჩი ჩემპიონის სახელისთვის

საქართველოს ჩემპიონის წოდებისთვის ა. ბუსლაევისა და რ. ჯინჯიხაშვილის საჭადრაკო მატჩი უშელავათო, პრინციპულ ბრძოლაში მიმდინარეობს.

36 წლის ბუსლაევი ერთობ ერუდირებული ოსტატია და მუდამ სერიოზულად ეკიდება შეჯიბრებაში მონაწილეობას. მას ბევრჯერ მიუღწევია დიდი წარმატებისთვის.

21 წლის ჯინჯიხაშვილი მზარდი, პერსპექტიული მოჭადრაკეა. მან დასტატების შესანიშნავი სკოლა გაიარა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხელში და მალე გაითქვა სახელი. უფროს კოლეგასთან ბრძოლას ჯინჯიხაშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება. ამიტომაც მათი მატჩი უაღრესად მწვავედ და მიმზიდველად მიმდინარეობს.

I პარტიაში მეტოქეებმა თამაშის რთული სქემა აირჩიეს. მწვავე შეტაკება მოხდა მეფის ფრთაზე, მაგრამ მან ვერც ერთ მხარეს ვერ მისცა სასურველი შედეგი. პირიქით, ორივენი საგრძნობლად დაზარალდნენ დროის მხრივ და ცაიტნოტის ზღურბლზე დაზავდნენ კიდეც.

აი, პირველი პარტია:

**ბუსლაევი — ჯინჯიხაშვილი**

ბრიუნფელდის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. e3 კg7 5. ლb3 e6 6. cd ed 7. g3 0—0 8. კg2 c6 9. მge2 მbd7 10. 0—0 მb6 11. a4 ეb8 12. ლa2 კf5 13. b3 a5 14. ეd1 მe4 15. f3 მd6 16. g4 კd7 17. მf4 h5 18. gh g5 19. მd3 მf5 20. ლf2 მh4 21. მe2 მc8 22. მფh1 მd6 23. მg3 g4 24. f4 მdf5 25. მe5 მ:g2 26. ლ:g2 მ:g3+ 27. ლ:g3 კ:e5 28. fe კf5 29. ეf1 ლg5. ყაიმი.

II პარტიაში, რომელიც კვირას გათამაშდა, ბრძოლა თანაბარი შანსებით მიმდინარეობდა. ბუსლაევმა ოსტატურად უვნებელყო მეტოქის ინიციატივა და თამაში ეტლების ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ყაიმი იყო მოსალოდნელი. საკონტროლო სვლების მიწურულში ბუსლაევი შეცდა და პაიკი წააგო. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

მეორე პარტია ასე მიმდინარეობდა:

**ჯინჯიხაშვილი — ბუსლაევი**

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. ლc2 d5 5. cd ed 6. a3 კ:c3+ 7. bc 0—0 8. კg5 h6 9. კh4 c5 10. e3 მbd7 11. კd3 ლa5 12. მf3 cd 13. მ:d4 მe4 14. 0—0 მdc5 15. კ:e4 de 16. ეfb1 a6 17. კe7 ეe8 18. კ:c5 ლ:c5 19. ლa4 ეe7 20. c4 კe6 21. მ:e6 fe 22. ლc2 ეc8 23. ლ:e4 ლ:c4 24. ლ:c4 ე:c4 25. ეb6 მფf7 26. ეab1 ეc3 27. a4 ეc4 28. ეa1 ეec7 29. g3 ეc1+ 30. ე:c1 ე:c1+ 31. მფg2 ეc4 32. ე:b7+ მფf6 33. h4 h5 34. მფf3 ე:a4 35. e4 ეa3+ 36. მფg2 ეa2 37. e5+ მფ:e5 38. ე:g7 მფf6 39. ეg5 a5 40. ე:h5 a4 41. ეa5 a3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გუშინ...

თამაშის განახლებისას ჯინჯიხაშვილმა ზუსტი სვლებით აამოძრავა გამსვლელი პაიკები და მოსაგები პოზიცია მიიღო. პაიკის დაკარგვის გარდუვალობის გამო ბუსლაევმა თავი დამარცხებულად სცნო.

აი, როგორ გაგრძელდა ბრძოლა: 42. მფf3 e5 43. ეa6+ მფf7 44. h5 ეa1 45. მფg4 e4 46. მფg5 ეf1 47. ეa7+ მფg8 48. ე:a3 ე:f2 49. g4 ეf3 50. ეa8+ მფf7 51. h6 ეh3 52. ეa4 e3 53. ეe4 ეf3 54. მფh4 მფg6 55. g5 მფf5 56. ეe8 ეf2 57. მფg3 მფg6 58. ეg8+ მფh7 59. ეg7+ მფh8 60. ეe7 შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1,5:0,5 რ. ჯინჯიხაშვილის სასარგებლოდ.

დღეს, 26 აპრილს, შედგება III პარტია.

თ. ნინოშვილი.



# ვერავერი მასპინძლობა

არის სპორტის სახეობები, სადაც გამარჯვება დამოკიდებულია მხოლოდ მოასპარეზეთა ფიზიკურ და ტექნიკურ მზადყოფნაზე, მაგრამ მარტო სპორტსმენის ნიჭი და უნარი მუდამ როდია საკმარისი. მაგალითად, ტექნიკურ სახეობებში შეჯიბრებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სრულყოფილია „მოასპარეზე" მანქანა. სპორტსმენი შეიძლება ძალიან მამაცი და ალღოიანი იყოს, ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც კარგად იყოს მომზადებული, მაგრამ მანქანის გაწყობისას მხედველობიდან გამორჩეს რაიმე ან საწარმოს წუნმა სწორედ შეჯიბრებისას იჩინოს თავი. მაშინ სპორტსმენის ყველა ცდა წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. ასეთმა მოულოდნელობამ გუშინწინაც წამოყო თავი „თბილისის დიდ პრიზზე" ავტომობილისტთა საკავშირო ტურნირში, რომელიც ვაკე — საბურთალოს გზაზე ჩატარდა.

„ა" ჯგუფის („ვოლგის" კლასი) მანქანებით ასპარეზობაში 19 კაცი ჩაება (მონაწილეებს 10 წრე უნდა შემოევლოთ). გამარჯვებისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის პრიზიორები გ. ზარგარიანი (ერევანი), მ. ლოგინოვი, რ. გარსევანიშვილი (ორივენი — თბილისი) და სხვ.

სტარტიდანვე დაწინაურდნენ გარსევანიშვილი, ლოგინოვი, გ. გრეკოვი, ვ. ბედუაშვილი (ორივენი — კრასნოდარი), ს. მირზოიანი (თბილისი) და ე. მირზოიანი (ბაქო). III წრეზე გარსევანიშვილი და ლოგინოვი, რომლებიც კვალში მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, 100 მეტრით უსწრებდნენ უახლოეს მეტოქეს — გრეკოვს და მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. IV წრეზე გარსევანიშვილი ლოგინოვსაც გაექცა და ერთპიროვნულად ლიდერობდა მერვე წრემდე, ვიდრე მანქანამ... არ უღალატა. იგი მაინც ბოლო წრემდე იბრძოდა, მაგრამ იძულებული გახდა რბოლა შეეწყვიტა. ცდა მოიგო თბილისის მსუბუქი ტაქსების მე-2 კანტორის მძღოლმა, სპორტის ოსტატმა ლოგინოვმა („სპარტაკი"). II იყო გრეკოვი, III — ე. მირზოიანი.

მეორე ცდაზე სულ 6 წრე უნდა შემოევლოთ. ლოგინოვს მთავარი მეტოქე (გარსევანიშვილი) აღარ ჰყავდა და რბოლაც იოლად მოიგო. ფინიშთან მეორე მივიდა თბილისელი ა. მარტიროსიანი, ხოლო III — ე. მირზოიანი. საბოლოოდ, II-III ადგილებიც მათ დარჩათ.

1956 წელს, სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის დამთავრებისთანავე გაიმართა ავტორბოლა მოსკოვი — მინსკი — მოსკოვი. ამ ასპარეზობაში პირველად გამოჩნდნენ საქართველოს ავტომობილისტები, რომლებმაც გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს — II ადგილი დაიკავეს. მას შემდეგ ისინი საკავშირო ტურნირების მუდმივი მონაწილენი არიან და ბევრჯერ მოუპოვებიათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. შარშან კი გუნდმა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა და სსრ კავშირის პირველობაში II ადგილი დაისაკუთრა. თავისი ძლიერება, როგორც ვნახეთ, მათ ახლაც დაამტკიცეს არა მარტო „ა" ჯგუფის მანქანებით ტურნირში, არამედ III და V ფორმულის ხარბოლი და სპორტული მანქანებით ასპარეზობაშიც.

III ფორმულის მანქანებით რბოლა ტაქტიკურად სწორად წარმართა სსრ კავშირის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ვ. პტუშკინმა (მოსკოვი). იგი პირველსავე წრეზე თვალში ჩაუჯდა თბილისის მსუბუქი ტაქსების მე-2 კანტორის მძღოლს, სპორტის ოსტატ შ. მამრიკიშვილს („სპარტაკი") და საკმარისი იყო ლიდერს წაეფორხილებინა, რომ პტუშკინი დაწინაურებულიყო. მამრიკიშვილი ზურგში გრძნობდა საშიში მეტოქის სუნთქვას. ამიტომ, ურთულეს მოსახვევებშიც კი არ ანელებდა ტემპს და ლიდერობა საფინიშო წრემდე შეინარჩუნა, მაგრამ... ფინიშთან პტუშკინმა მიასწრო. — ბოლო აღმართზე სიჩქარის გადართვისას, ქართველ სპორტსმენს მანქანა გაუჯიუტდა. III იყო კ. ცალქალამანიძე.

მაგრამ გამარჯვებისთვის პტუშკინს ეს მოგება როდი ყოფნიდა. თუ მეორე ცდისას რევანშს აიღებდა, პირველობას მამრიკიშვილი დაისაკუთრებდა. ასეც მოხდა. თბილისელმა ოსტატმა, ეტყობა, კარგად გაითვალისწინა შეცდომა, თავიდანვე დაწინაურდა და გაიმარჯვა კიდეც. II და III ადგილები დაიკავეს პტუშკინმა და ცალქალამანიძემ.

საქართველოს ავტომობილისტების უპირატესობა აშკარა იყო V ფორმულაშიც. აქ სხვებთან ერთად ძალას ცდიდა სსრ კავშირის სამივე პრიზიორი — თბილისელები ი. პოლტორაცკი, ვ. გლურჯიძე და ბ. სუხიშვილი. მაგრამ თუ გლურჯიძე და სუხიშვილი ყველა წრეზე ლიდერობას არავის უთმობდნენ, პოლტორაცკი ამ სერიაში მხოლოდ იმის წყალობით გავიდა III ადგილზე, რომ მისი თანაგუნდელი თ. ზახაროვი რბოლას გამოეთიშა.

სამაგიეროდ, გამარჯვებისთვის მწვავე ბრძოლა გამართეს სუხიშვილმა და გლურჯიძემ და, ვინ იცის, მათი „ჭიდილი" რით დამთავრდებოდა, რომ სუხიშვილის მანქანის უკანა ბორბალს „რვიანების" წერა არ დაეწყო. და მაინც, სუხიშვილი ფინიშთან II მივიდა. II ცდაზე ისევ ამ ორმა სპორტსმენმა იმარჯვა, I და II ადგილები მოიპოვა და ასე გაინაწილა პრიზები ორი ცდის ჯამში. III იყო კრასნოდარელი გ. პოდკოვიროვი. I ფორმულის მანქანები კონკურსგარეშე გამოდიოდნენ. აქ ყველას აჯობა თბილისის მე-3 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა გ. ლომიძემ.

ამრიგად, პირად ჩათვლაში ყველა პირველი ადგილი მასპინძლებმა დაიკავეს. მართალია, ქართულ სტუმართმოყვარეობას ეს არ შეჰფერის, მაგრამ რას იზამ, სპორტი სპორტია!

რაც შეეხება გუნდურ ასპარეზობას, გამარჯვება და „თბილისის დიდი პრიზი" მოიგო თბილისის III გუნდმა (სუხიშვილი, ცალქალამანიძე და მარტიროსიანი). მეორე იყო თბილისის IV ნაკრები (გარსევანიშვილი, ლოგინოვი, გლურჯიძე), ხოლო III — მოსკოვის კოლექტივი (პტუშკინი, ნ. ჟდანოვი, ი. მინეევი).

ფიზკულტურის კოლექტივთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისის მსუბუქი ტაქსების მე-2 კანტორის (ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, კანტორის უფროსი გ. ზალდასტანიშვილი) II გუნდი, 2. თბილისის მსუბუქი ტაქსების 1-ლი კანტორის ნაკრები, 3. თბილისის მსუბუქი ტაქსების მე-2 კანტორის I კოლექტივი.

ბაქოელმა სპორტსმენებმა მასპინძლებს — 1-ლი და მე-2 კანტორის ავტომობილისტებს, რესპუბლიკის დოსაafის ავტომოტოკლუბსა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბ. შულცს სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

შეჯიბრება, რომელშიც მოსკოვის, ესტონეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და კრასნოდარის მხარის საუკეთესო ავტომობილისტები მონაწილეობდნენ, მიზნად ისახავდა უძლიერესთა შერჩევას სსრ კავშირის ნაკრებისთვის. ნაკრები საერთაშორისო შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: შ. მამრიკიშვილი შეჯიბრებისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სტარტი აღებულია

ქუთაისის ცენტრალურ საჭადრაკო-საშაშო კლუბში სტარტი აიღო საქართველოს პირველობამ რუსულ შაშში. ჩემპიონის სახელისთვის იბრძვის თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების 15 მოშაშე.

I ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ძმები თენგიზ და თამაზ ბარამიძეები და პარტია ყაიმით დაამთავრეს. კარგად აიღეს სტარტი ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატებმა ბ. ლოსაბერიძემ და ი. მოძღვრიშვილმა: პირველმა დაამარცხა სოხუმელი ა. ბობროვი, ხოლო მეორემ — თბილისელი დ. ციმბალისტი. ნ ხუციშვილმა (თბილისი) მოუგო ჟ. გულუას (ფოთი), ი. სპესივცევმა (თბილისი) — ქუთაისის ჩემპიონს მ. მოძღვრიშვილს, ვ. პავლიაშვილმა (კასპი) — ვ. ნინუას (თბილისი). ყაიმით დასრულდა ა. ტოჩონოვისა (ბათუმი) და გ. ბარამიძის (სოხუმი) შეხვედრა.

ხ. საგიევი,

ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### შაში

## ფინალში 2 გუნდით

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდობის სპორტსკოლების საკავშირო ზონალური ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. როგორც ცნობილია, ამგვარი შეჯიბრება კიდევ ოთხ სხვა ქალაქში — ალმა-ათაში, სვერდლოვსკში, ზაპოროჟიესა და კიშინიოვში ჩატარდა. ჩემპიონატის დებულებით, ყოველ ზონაში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები ფინალში იასპარეზებენ (გაიმართება ნოემბერში, კრასნოდარს).

თბილისის ზონაში ამ უფლებისთვის 6 კოლექტივი იბრძოდა (2 თბილისიდან, თითო — ერევნიდან, ბაქოდან, კრასნოდარიდან და ქუთაისიდან). ამათგან ბედნიერი „ბილეთები" და, მაშასადამე, კრასნოდარის საგზურები მიიღეს თბილისის I და II გუნდებმა და ერევნის კოლექტივმა.

ჩვენი დედაქალაქის ათლეტთა წარმატება კანონზომიერია, რადგან ისინი უდავოდ უძლიერესნი იყვნენ. კიდევ მეტი: თბილისის გუნდი შარშანდელი ჩემპიონია, ასე რომ, ფინალში მისი გასვლა არავის გააკვირვებდა. მოულოდნელი იყო წარმატება ჩვენი II გუნდისა, რომელიც ადგილების საბოლოო განაწილებისას მეორე აღმოჩნდა. ეს უკვე ჩემპიონატის სიახლეა, — წინა შეჯიბრებების ფინალში ერთი ქალაქი 2 კოლექტივით არასდროს ყოფილა წარმოდგენილი. მაგრამ ფაქტი ჯიუტია და იგი ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მაღალ ფორმაზე მეტყველებს.

პრიზიორთა მიღმა დარჩნენ ბაქოს, კრასნოდარისა და ქუთაისის მოჭიდავეები.

რამდენიმე სიტყვა ქუთაისის კოლექტივზე. ექვს გუნდში ბოლო ადგილზე გასვლა, რა თქმა უნდა, წარუმატებლობაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქუთაისში ახალგაზრდა მოჭიდავეებთან მუშაობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. პირიქით, აქ მუდამ ზრდიდნენ და ზრდიან მაღალი კლასის ოსტატებს და ეს მარცხი სხვა მიზეზებით არის გამოწვეული.

საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობის სპორტსკოლების ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება 19-21 წლის მოჭიდავეებს აქვთ. ეს კი ნამდვილი სტუდენტური ასაკია და, ბუნებრივია, ქუთაისის ახალგაზრდა მოჭიდავეთა დიდმა უმრავლესობამ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა. სწორედ ამ „გადასახლებამ" დაასუსტა ქუთაისელთა ძლიერი კოლექტივი.

ახალგაზრდობის სპორტული სკოლების შეჯიბრებას „იმედის ტურნირს" უწოდებენ. მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რა იმედზეა ლაპარაკი. ჩვენი სპორტული ცხოვრების ღერძს დღესდღეობით სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის სამზადისი წარმოადგენს. სპარტაკიადის დებულებით კი ყოველ გუნდში უნდა გამოდიოდეს გარკვეული პროცენტი ახალგაზრდა სპორტსმენებისა, რომელთა ასაკი 25 წელზე ნაკლებია. ასე რომ, ახალგაზრდობის სპორტსკოლა ოსტატთა ცვლის ჩვენი რეზერვის მთავარ წყაროს წარმოადგენს. შეჯიბრების პროცესში ბევრმა ჭაბუკმა გამოავლინა მზარდი ოსტატობა. სწორედ მათ თამამად შეიძლება ვუწოდოთ „იმედი" და, პირველ ყოვლისა, დავასახელოთ მ. ჩიბურდანიძე, გ. ჭელიძე, რ. ღულუნიშვილი...

გამარჯვებული გუნდის — თბილისის I ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ა. მირზოიანი, რ. მორჩილაძე, ო. ტატიშვილი, თ. სირბილაძე, გ. ჭელიძე, თ. ტყემალაძე, თ. ჭურციკიძე, მ. ჩიბურდანიძე.

ნ. ბუბუშვილი.

● კიევი, 24 აპრილი. სსრ კავშირის ფეხბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩემპიონი უკვე გარკვეულია: დღეს მოსკოვის ცსკა-მ დაამარცხა აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ფეხბურთელები (3:2) და 18 ქულით გაინაღდა „ოქრო".

● ვენა, 24 აპრილი. შესანიშნავმა უნგრელმა ძალოსანმა ი. ფიოლდიმ (ქვემსუბუქი წონა) მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა აჭიმვაში. მისი შედეგი — 128,5 კგ — ნახევარი კილოგრამით მეტია მისსავე ძველ რეკორდზე.

● პრაღა, 24 აპრილი. ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ჩეხოსლოვაკიელმა ლ. დანეკმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო: 64,24 მ აჩვენა. რეკორდსმენი იმედოვნებს მსოფლიო რეკორდის „ჭერი" წლეულს 67 მეტრამდე აიყვანოს.

● რიგა, 24 აპრილი. ლატვიის ნაკრებთან „მშრალი" ანგარიშით წაგების შემდეგ (0:10), შვეციელები აქ შეხვდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდა მოკრივეებს. სტუმრები ამჯერადაც დამარცხდნენ — 3:7.

● რიგა, 24 აპრილი. დღეს აქ დაიწყო წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. პირველ დღეს ასპარეზობდნენ ტრამპლინიდან ხტომაში. ვაჟებში უძლიერესი იყო ბ. პოლულიახი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. საფონოვი და ვ. ვასინი. კოშკიდან მხტომელ ქალებში გაიმარჯვა ნ. კუზნეცოვამ. საპრიზო სამეულში არიან აგრეთვე ი. კაზაკოვა და ვ. ბაკლანოვა. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „სპარტაკის" კოლექტივი. II ადგილზე არიან დინამოელები.

● სან-პაულუ, 24 აპრილი. ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრებმა საერთაშორისო მატჩი გამართა ბრაზილიის „სანტოსთან". გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 3:1. ბრაზილიელებს აკლდათ თავიანთი ძირითადი მოთამაშეები.

# 4 რეკორდი ლვოვის სასროლეთზე

ლვოვი, 25 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). აქ გრძელდება სსრ კავშირის 8 საუკეთესო გუნდის სამატჩო შეხვედრა ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობს საქართველოს კოლექტივიც (ვაჟები, ქალები, მოზარდები), რომლის შემადგენლობაში 32 სპორტსმენია.

ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებმა შეჯიბრება კარგად დაიწყეს. სპორტის ოსტატმა ა. მარუთიანმა („დინამო“) მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა სროლაში 600 შესაძლებლიდან 590 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გავიდა მოზარდებში (მოზრდილთა შორის III შედეგი).

საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა ა. სტროევმა, რომელმაც მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში 1155 ქულა მოაგროვა. ეს მაჩვენებელი 1 ქულით აღემატება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. ქველიაშვილის მიერ 1964 წელს დამყარებულ რეკორდს. სტროევმა ამ შეჯიბრებისას დგომელა სროლით გაიმეორა საქართველოს რეკორდი (374), რამაც სპორტსმენს III ადგილი მოუტანა.

ამავე ვარჯიშში წოლელა სროლისას სპორტის ოსტატმა თ. მეგრელიშვილმა 400 ქულიდან მხოლოდ 3 დაკარგა (397). ესეც ახალი რესპუბლიკური რეკორდია და 1 ქულით ჯობს სპორტის ოსტატ რ. ანანიკიანის მიერ 1960 წელს დამყარებულ რეკორდს.

საქართველოს რეკორდი გაუმჯობესდა გუნდურ ჩათვლაშიც: ჩვენებმა 4556 ქულა მოაგროვეს (ძველი რეკორდი — 4527 — ეკუთვნოდა „დინამოს“ ნაკრებს).

ვალში არც ქალები დარჩნენ. მცირეკალიბრიანი [illegible] მრგვალ [illegible] სროლაში საქართველოს ნაკრებმა მოაგროვა 1706 ქულა, რაც რესპუბლიკის ახალი რეკორდია.

2 დღის შემდეგ ჩვენი სპორტსმენები IV ადგილზე არიან.

# უმაღლეს დონეზე

ლესელიძეში გუშინწინ დამთავრდა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების მატჩი მძლეოსნობაში სსრ კავშირის საუკეთესო მძლეოსნები ასე ადრე პირველად შეიკრიბნენ (ჰანამდე ამგვარი ტურნირები ივნისში ეწყობოდა).

ასპარეზობისას ნაჩვენები იქნა საერთაშორისო კლასის ბევრი შედეგი: ი. ტერ-ოვანესიანი სიგრძეზე 823 სანტიმეტრზე გადახტა, რაც ღია სტადიონებისთვის საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. ქალებში ასეთივე წარმატება მოიპოვა ტ. შჩელკანოვამ —658. მოსკოველმა სტუდენტმა ვ. სკვორცოვმა გადალახა 218 სმ სიმაღლე. მინსკელმა მ დუპოგრაევამ შუბი ტყორცნა 56,40 მეტრზე. 80 მეტრზე თარჯრბენში I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიო რეკორდსმენმა ი. პრესმა და ლენინგრადელმა ნ კულკოვამ — 10,6. სსრ კავშირის ახალი მიღწევით აღინიშნა ვ. მუხანოვას რბენა 1.000 მეტრზე — 2.43,3. შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ი. ლუსისმა — 76,56 მ. ამ სახეობაში კარგად გამოვიდა თბილისის დინამოელი კ. გორძემაშვილი. მისი შუბი 74,90 მეტრზე დაეცა. რამაც სპორტსმენს III ადგილი მოუტანა.

საქართველოს ახალი რეკორდით აღინიშნა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის მ. ოყროშიძის გამოსვლა. ბირთვის კვრაში მან აჩვენა 17,77 მეტრი, 36 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი და IV ადგილი დაისაკუთრა.

წინასწარი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით თბილისის დინამოელი გ. გუდაშვილი ვერ მოხვდა ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, მაგრამ იგი პირად ასპარეზობაში დაუშვეს (აქ მას მხოლოდ 3 ცდის უფლება ჰქონდა). გუდაშვილის მაჩვენებელი — 55,85 მ — 13 სანტიმეტრით ჩამორჩება მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს. ქალთა შეჯიბრებაში VIII ადგილი მოიპოვა ლ. ტუღუშმა —49,02 მ.

სპორტულ სიარულში VI და VII ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ა. შჩერბინა (1.08.51,0) და ი. დელაროსა (1:10 26,0).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა პროფკავშირთა I ნაკრებმა. II იყო შეიარაღებულ ძალთა კოლექტივი, ხოლო III — „დინამო.“

სხვა სახეობებში გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქ ა ლ ე ბ ი. რბენა: 100 მ —რ. ლაცე (პროფკავშირები I) —11,7, 200 მ —ლ. სამოტიოსოვა (პროფკავშირები I) — 24,1, 400 მ —ლ. ზაგურე (შეიარაღებული ძალები) — 55,6; სიმაღლეზე ხტომა — ტ. ჩენჩიკი („ბურევესტნიკი“), ლ. კომლევა (პროფკავშირები I) — ორივენი 173; ბადროს ტყორცნა —თ. პრესი (პროფკავშირები I) —57,90; ბირთვი თ. პრესი—17,78; ხუთჭიდი—მ. გოლუბევა (პროფკავშირები I) — 4597; ესტაფეტა 4×100 მ (პროფკავშირები I) —46,0.

ვ ა ჟ ე ბ ი. რბენა: 100 მ — ა. ლებედევი—10,5, 200 მ —გ. სავჩუკი—21,3 (თბილისელი ა. ანდრეევი — XV-XVI ადგილები—22,2), 400 მ —გ. სკვრბეტოვი (სამივენი —შეიარაღებული ძალები) —47,7 (ტ. ბახტაძე VII იყო —49,1), 1.500 მ — მ. ჟილტი (პროფკავშირები I) — 3.49,8. 5.000 მ — ტ. ხლისტოვი — 14.06,6, 10.000 მ — ნ. დუტოვი (ორივენი — შეიარაღებული ძალები) —29 20,2, 3.000 მ წინაღობებით — ა. კურიანი —8.37,8, 110 მ თარჯრბენი — ა. მიხაილოვი (ორივენი—პროფკავშირები I)—14,0, ვ. ბალიხინი —14,0, 400 მ. თარჯრბენი— ვ. ანისიმოვი (ორივენი — შეიარაღებული ძალები) —51,6 (ქუთაისელი ი. კოზელსკა VII იყო), ესტაფეტა 4×100 მ — შეიარაღებული ძალები — 40,5. 4×400 მ — შეიარაღებული ძალები —3.13,8; სპორტული სიარული 15 კმ —ბ. ხროლოვიჩი (შეიარაღებული ძალები) —1:06. 10,0; სამხტომი — ა. ლაზარენკო („ბურევესტნიკი“) — 16,24 (ნ. დუდკინმა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა —15,98 მ); ჭოკი —გ. ბლიზნეცოვი („ბურევესტნიკი“) — 480; ბადრო —კ. ბუხანცევი — 57,72; ურო — რ. კლიმი (ორივენი — შეიარაღებული ძალები) — 67,44; ბირთვი — ე გუშჩინი (პროფკავშირები I) —18,50.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლებიდან მხოლოდ რამდენიმეა დამაკმაყოფილებელი. ბევრ სახეობაში ჩვენ კვლავ ჩამოვრჩებით საკავშირო დონეს (რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისოზე), რაც მწვრთნელებსავალდებულებს ძალღონე დაუშურებლად იბრძოლონ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია პანსიონატ „სპორტის“ დირექციის (დირექტორი ვ. კედია) დამსახურება, რომელმაც ზრუნვა არ დააკლო სტადიონისა და სექტორების საუცხოოდ მოწყობას, რამაც, ცხადია, ხელი შეუწყო მოასპარეზეთ მაღალი შედეგების მოპოვებაში.

**ნ. ღვალიშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ლესელიძე.

# მიუხედავად მძიმე პირობებისა

მ ო ს კ ო ვ ი, 24 აპრილი. სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და შვეციის მესტენდურეთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც გუშინ დაიწყო, მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ეწოდოს საგაზაფხულო: იყო სულ 1 გრადუსი სითბო, ჰქროდა ძლიერი ქარი... ერთმა მსაჯმა (ეს ქალი გახლდათ), 6 საათი რომ გაეძლო თავის „საბრძოლო“ პოსტზე, სადღაც ნაბდის ჩექმებიც კი იშოვა და პირდაპირ კაპრონის წინდებზე ჩაიცვა.

მიუხედავად ამგვარი მძიმე პირობებისა, ასპარეზობის პირველ დღეს მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. მრგვალ სტენდზე სროლაში ლიდერობა ხელთ იგდო სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. ცურანოვმა (სვერდლოვსკი) — 96 ქულა 100-დან. II ადგილზეა ლიდერის თანაქალაქელი რ. პოლიანსკი — 95, ხოლო III — ახალგაზრდა ნოვოსიბირსკელი მსროლელი ე. გოლუბევი — 93. და მხოლოდ IV ადგილზეა სტუმართაგან საუკეთესო — შვეციელი ბ. რიუნესონი — 92. გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრებს 365 ქულა აქვს, ხოლო შვეციის წარმომადგენლებს — 346 (გერმანელები და რუმინელები ამ სახეობაში არ გამოსულან).

ადგილიდან სროლაში საუკეთესოდ გამოიჩინა თავი საბჭოთა სპორტსმენმა ო. კულაკოვმა — 96 ქულა. II ადგილზეა გდრ-ის ჩემპიონი ი. მარშაიდერი — 95, ხოლო III — საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი ი. კოსტილევი (დონის როსტოვი) —94 გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სსრ კავშირის მესტენდურეებმა — 373 ქულა. გდრ-ის ნაკრებს 366 ქულა აქვს, ხოლო რუმინეთის კოლექტივს — 357.

# ყველაზე გრძელი სახელი მსოფლიოში

გულშემატკივარი ათასნაირია. ზოგი „თავისი“ გუნდების არც ერთ თამაშს არ ტოვებს, გულმოდგინედ სწავლობს ისტორიას და ზეპირად იცის მისი რჩეული სპორტსმენების თითქმის ყველა ასპარეზობის შედეგი. 36 წლის ინგლისელმა პიტერ ო'სალივენმა კი ფეხბურთის კლუბისადმი თავისი მხურვალე სიყვარულის გამოსახატავად სულ სხვა, გაცილებით საინტერესო გზა გამონახა. მან თავის 7 თვის გოგონას დაარქვა ... „ლივერპულის“ ყველა მოთამაშის სახელი ერთად. არ დავიწყებია არც სათადარიგო ფეხბურთელები, არც მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელი. და ახლა პატარა პოლას ჰქვია ყველაზე გრძელი სახელი მსოფლიოში: პოლა სენტ-ჯონ ლოურენს ლოულერ ბერნ სტრონგ იტ'ს ხტაევენსონ კალაჰან ჰანტ მილნ სმიტ ტომპსონ შენკლი ბენეტ პეისლი ო'სალივენ!

„ლივერპულის“ მოთამაშეებს იმდენად აუჩუყა გული თავდადებული გულშემატკივრის საქციელმა, რომ სასწრაფოდ მოაწერეს ხელი პოლას დაბადების მოწმობას.

— მე, —განაცხადა სიამაყით ალსავსე მამამ, — ფანატიურად მიყვარს „ლივერპული“ და ვფიქრობ, რომ პოლას სახელი ჩემი უსაზღვრო ერთგულების დამტკიცების საუკეთესო გზაა. რაც შეეხება პოლას დედას, ვერ ვიტყვით, რომ იგი დიდად აღტაცებული იყოს ქმრის გამოგონებით. ამბობს, რომ გავიგე, ჩემს ქალიშვილს „ლივერპულის“ ყველა მოთამაშის სახელი დაერქვა, კინაღამ გული შემიწუხდაო. სტოკონ-ტრენტის რეგისტრატორი კი, რომელმაც პოლას დაბადების მოწმობა გასცა, გამოტყდა, რომ ასეთი გრძელი სახელი თავის სიცოცხლეში არ გაუგონია.

ო'სალივენებს პოლას გარდა ორი ვაჟი ჰყავთ — ენდრიუ და დებორა. ისინიც იმის წყალობით გადარჩნენ, რომ ცოლმა ორჯერვე მიასწრო ქმარს სახელების სარეგისტრაციო ბიუროში და „ვერაგი“ განზრახვა ჩაუფუშა.

ა. დონსკოი.

•

# უსინათლონი... თხილამურებზე

გეიტოსტელენში (ცენტრალური ნორვეგია) უკვე მესამე წელია უსინათლო მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება. წლეულს ასპარეზობდნენ ნორვეგიის, შვეციის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის, ბელგიისა და აშშ-ის სპორტსმენი ქალები და ვაჟები.

თუმცა შეჯიბრების ტრასა თოვლში საკმაოდ ჩაღრმავებული იყო, ყოველ უსინათლო სპორტსმენს ერთი თვალხილულიც მიაცილებდა. გამცილებლები ცნობილი ნორვეგიელი მოთხილამურეები იყვნენ, რომელთაც უ. ელეფსეტერი მეთაურობდა (მათ შორის, სტორტინგის რამდენიმე დეპუტატიც იყო. მაგალითად, უსინათლო სპორტსმენთან სოლვეიგ ბლიკსთან ერთად სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ე. ორვიკი მიდიოდა).

წლევანდელ „რაინდულ რბოლებში“ (ასე ეძახიან ამ შეჯიბრებას), ისევე, როგორც წინა ორ ასპარეზობაში, გაიმარჯვა შვეციელმა სპორტსმენმა ე. ერდინმა. მან საკმაოდ მაღალ ტემპში იარა და 25-კილომეტრიანი დისტანცია 1 საათსა და 26 წუთში დაფარა.

ბ. კუსოვი.

ოსლო.

•

# თვით „მისი ბრწყინვალება ფეხბურთიც“ კი

კორიდამ ზენიტს მიაღწია. ესპანელი ტორეადორების „ვარსკვლავმა“ დიდმა ანტონიო ორდონიესმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ბრწყინვალედ დაამარცხა პირველი ხარი, მაგრამ მეორემ... იგი რქებზე აავო. ათასობით მაყურებელს შეშფოთების ოხვრა აღმოხდა, ორდონიესი სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ მაინც წამოხტა. ხელის კიდევ ერთი ლამაზი მოძრაობა და ხარი ტორეადორის დაშნამ განგმირა.... მაყურებლის აღტაცებული შეძახილები ორდონიესს აღარ გაუგონია: იგი გონებადაკარგული დაეცა.

ისლა დაკვრჩენია დავსძინოთ, რომ მალაგის სარბიელზე მომხდარმა ამ ამბავმა გაზეთების ფურცლებიდან თვით „მისი ბრწყინვალება ფეხბურთიც“ კი განდევნა. სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს ესპანელ გულშემატკივართა კერპები — მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები მილანის „ინტერნაციონალეს“ ეთამაშებოდნენ. მაგრამ ახლა ყველას ყურადღება მიქცეული იყო მხოლოდ იმ ქირურგიული კლინიკისკენ, სადაც ოპერაციას უკეთებდნენ 34 წლის ტორერ.ოს. გულშემატკივრებმა შვებით მხოლოდ მას შემდეგ ამოისუნთქეს, როცა გაიგეს, რომ ორდონიესის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა და... ახლა უკვე ფეხბურთის მინდვრებისთვის მოიცალეს.

# მატადორი... ხარის რქებზე

მატადორი ხოსე სერანო, ცხადია, სულაც არ აპირებდა ხარის რქებზე მოხვედრას, მაგრამ გამძვინვარებული ცხოველისა და მისი ორთაბრძოლა სწორედ ასე დამთავრდა. ეს მოხდა სეზონის გახსნის წინ მადრიდში. სერანოს ბედმა გაუღიმა: იგი მხოლოდ მსუბუქად დაშავდა.

# უღიმღამო თამაშში

## 1:0

ვენა, 24 აპრილი. ადგილობრივი „პრატერის“ სტადიონზე დღეს აქ გაიმართა ავსტრიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

შესვენებამდე იგრძნობოდა საბჭოთა ფეხბურთელების ერთგვარი უპირატესობა. მე-20 წუთზე მეტრეველის სწრაფი გარღვევის შედეგად ავსტრიელთა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, ფრაიდლმა ვერ დაიჭირა ბურთი და ვორონინმა გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

მეორე ტაიმში ავსტრიელები თვალსაჩინოდ გააქტიურდნენ და კავაზაშვილს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი გუნდი ვერ თამაშობდა კარგად. საბჭოთა ფეხბურთელების გადაცემებს აკლდა სიზუსტე, ძალზე უსისტემოდ მოქმედებდა ნახევარდაცვა, ხოლო თავდამსხმელებმა (განსაკუთრებით ჩისლენკომ და კოპაევმა) მეტისმეტად უსუსური შთაბეჭდილება დატოვეს.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, ბანიშევსკი, კოპაევი, ჩისლენკო (მეორე ტაიმის შუაში ჩისლენკოს ნაცვლად გამოვიდა ჰუსაინოვი, ხოლო კოპაევის მაგივრად — მალაფეევი).



# „ინტერი“ ლიდერობას ინარჩუნებს

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტური რამდენიმე სიურპრიზით აღინიშნა. **პირველი:** ნეაპოლში ადგილობრივი „ნაპოლი“ თავისი საუკეთესო შემადგენლობით დამარცხდა „ფიორენტინასთან“ (0:4), რომლის შემადგენლობაში 7 სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. **მეორე:** მილანის „ინტერნაციონალემ“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ერთ-ერთ აუტსაიდერთან — გენუის „სამპდორიასთან“ — 1:1. **მესამე:** „იუვენტუსმა“ მოუგო „მილანს“— 3:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბრეშია“ — „რომა“ 3:0, „ბოლონია“ — „ტორინო“ 2:0, „ლაციო“ — „კალიარი“ 3:1, „ფოჯა“ — „ლანეროსი“ 0:0, „ატალანტა“ — „სპალი“ 2:0, „კატანია“ — „ვარეზე“ 3:0.

ლიდერთა ოთხეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 30 | 61:21 | 46 |
| „ბოლონია“ | 30 | 56:38 | 41 |
| „ნაპოლი“ | 30 | 36:28 | 39 |
| „იუვენტუსი“ | 30 | 32:18 | 37 |

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01550